




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაჩნაძე ეკატერინე გიორგის ასული



ვაჩნაძე ეკატერინე გიორგის ასული (10. X. 1920, სოფ. ნანიანი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, - 20.II.2012, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1943 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (პედაგოგი გ. ტოვსტონოვი) და ამავე წელს ჩაირიცხა თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის დასპი. განასახიერა 50-მდე სხვადასხვა სახის

როლი: კაროქნა („შემოდგომის აზნაურები”, დ. კლდიაშვილის მიხედვით), სონა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჭი”), ლირსა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი”), ვარა (ო. მამთორიას „მეტეხის ჩრდილში”), მაკინე (მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეტურნეები”), ვარვარა კარპოვნა და კოკონა (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია” და „ამბავი სიყვარულისა”), სონა (გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი”), თამარი (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი”), ფეფელა (გ. სუნდუკიანის „პეპო”), მაიკო (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი”), გალჩიხა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი”), ტასო (ვ. რობოვის „ხალისიანი მეგობრები”), ლიზა (ე. როსტანის „სირანო დე ბერუერაკი”), მარიამი (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად”) და სხვ. შესანიშნავად ასრულებდა სახასიათო როლებს. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, აქტიორული ინდივიდუალობით, პროფ. ოსტატობით. გამოდიოდა ესტრადაზეც.

გ. გოგოლაშვილი

